საინფორმაციო ბიულეტენი | იანვარი

გენდერული თანასწორობის საბჭოს გასვლითი სამუშაო შეხვედრა კახეთში

19-21 იანვარს, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაზე სამუშაოდ ჰიბრიდულ რეჟიმში გაიმართა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა. დისკუსიაში ჩართული მხარეების უკუკავშირზე დაყრდნობით, გენდერული თანასწორობის საბჭო შეიმუშავებს მომავალი 3 წლის განმავლობაში შესასრულებელი აქტივობების გეგმას, რომლის აღსრულებაშიც დონორ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლი ექნებათ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს გასვლითი სამუშაო შეხვედრა

22-23 იანვარს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრების მონაწილეობით გენდერული თანასწორობის საკითხებზე შეხვედრა და დისკუსია გაიმართა. მსჯელობისას აქცენტი გაკეთდა ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების საკითხებზე, საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე, ასევე გენდერული თანასწორობის მიმართულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და არსებულ საერთაშორისო მექანიზმებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საკრებულოს ქალ წევრთა ფორუმში მიიღო მონაწილეობა

24 იანვარს, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ორგანიზებულ საკრებულოს ქალ წევრთა ფორუმში მიიღო მონაწილეობა. საკრებულოებთან თანამშრომლობა, ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა და მათთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მიმდინარე წელს საბჭოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

საბჭო სოციალურ მედიაში

იანვარში გენდერული თანასწორობის საბჭომ Facebook გვერდზე წარმართა კამპანია მსოფლიოს ლიდერი ქალების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აგრეთვე, Facebook და twitter პლატფორმებთან ერთად საბჭო უკვე instagram ანგარიშსაც იყენებს მის საქმიანობაში.

საბჭო ზუგდიდში პოლიციის თანამშრომლის მიერ ქალზე განხორციელებული სავარაუდო ძალადობის ფაქტს გამოეხმაურა

ქალის მიმართ ძალადობის სავარუდო ფაქტის შესახებ გენდერული თანასწორობის საბჭომ გაავრცელა განცხადება ოფიციალურ Facebook გვერდზე. საბჭომ დაგმო ქალის წინააღდეგ ჩადენილი სავარაუდო ძალადობის ფაქტი, ხაზი გაუსვა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ძალისხმევაში პოლიციის ჭეშმარიტ როლს, მადლობა გადაუხადა სამართალდამცავებსა და სასამართლოს დროული რეაგირებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ გამოძიება ჩატარდება სათანადოდ და დამნაშავე დაისჯება შესაბამისად.